ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 89

ქალაქი ქუთაისი 27 ივლისი 2022 წელი

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და
სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ“
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 30 მარტის
№57 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის „ე.დ“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლისა და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების 22-ე მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად:

მუხლი 1. შეტანილ იქნეს ცვლილება „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 30 მარტის №57 განკარგულებაში, კერძოდ:

1. ამოღებული იქნეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმიდან №150; №151; №183; №185; №188; №196 პუნქტები.

2. პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმას დაემატოს №198-№203 პუნქტები თანდართული რედაქციით.

(დანართი განკარგულებას თან ერთვის)

მუხლი 2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 4. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი შენგელია

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტი
საკრებულო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს 2022 წლის 27 ივლისის
№89 განკარგულების დანართი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და
სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმა

№	ქონების დასახელება	მისამართი	ფართობი (კვ.მ.)	სარეგის-ტრაციო ნომერი	საწყისი საპრივატი-ზებო საფა-სური (ლარი)	აუქციონით განკარგვის ფორმა (პირობით ან უპირობოდ)	სრული ღირებულების გადახდის სავარაუდო პერიოდი ან/და პერიოდულობა
1	2	3	4	5	6	7	8
198	არასასოფლო – სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	ქალაქი ქუთაისი, ნიკეას ქუჩა, I შესახვევი, №6-ის სამხრეთით	769.00	03.05.22.464	130.00 (1 კვ.მ.-ზე)	უპირობოდ	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში
199	არასასოფლო – სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	ქალაქი ქუთაისი, ნიკეას ქუჩა, I შესახვევი, №6-ის სამხრეთით	206.00	03.05.22.883	130.00 (1 კვ.მ.-ზე)	უპირობოდ	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში
200	არასასოფლო – სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	ქალაქი ქუთაისი, ზურაბ ჭავჭავაძის ქუჩა, №6-ის ჩრდილო-აღმოსავლეთით	730.00	03.01.24.997	55.00 (1 კვ.მ.-ზე)	უპირობო	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში
201	არასასოფლო – სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	ქალაქი ქუთაისი, განჯის ქუჩა №12-ის მიმდებარედ	158.00	03.06.21.738	130.00 (1 კვ.მ.-ზე)	უპირობო	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში
202	მოძრავი ქონება „КБ“ - 100. „зА“ - 1 მოდელის კოშკურა ამწე	ქალაქი ქუთაისი, შევჩენკოს ქუჩა №12 (ს/კ №03.05.04.083)	1 ერთეული	–	32 000.00	უპირობოდ	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში
203	ლითონის მილები და ჯართი (ქონების ჩამონათვალი იხილეთ აქვე)	ქალაქი ქუთაისი, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „მნკ ჯგუფის“ (საიდენტიფიკაციო კოდის № 404399469) კუთვნილი მიწის ნაკვეთი	–	–	37 301.64	უპირობოდ	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ლითონის მილებისა და ჯართის რაოდენობის ჩამონათვალი

№	დასახელება	დიამეტრი (მილიმეტრი)	სისქე (მილიმეტრი)	სიგრძე (მეტრი)	ერთეულის საორიენტაციო საბაზრო ღირებულება (ლარი)	მთლიანი საორიენტაციო საბაზრო ღირებულება (ლარი)
1.	ლითონის მილი	219	8	305,5	46	14053
2.	ლითონის მილი	219	9	19,5	51	994.5
3.	ლითონის მილი	219	10	280,5	57	15988.5
4.	ლითონის მილი	219	11	32,20	62	1996.,40
5.	ლითონის მილი	219	12	57,18	67	3831.06
6.	შავი ლითნის ჯართი – 932.3 კილოგრამი	–	–	–	–	438.18
	ჯამი	–	–	–	–	37301.64

საკრებულოს თავმჯდომარე _____ ირაკლი შენგელია

4. საკრებულოს უმრავლესობის წევრებს უფლება აქვთ, საკრებულოს ბიუროს ნებისმიერ დროს წარუდგინონ საკრებულოს უმრავლესობის წევრთა განახლებული სია. ეს სია ახლდება ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით დადგენილი წესით.

5. საკრებულოს ის წევრი, რომელიც არ შედის საკრებულოს უმრავლესობაში, განეკუთვნება საკრებულოს ოპოზიციას. საკრებულოს ოპოზიციის წევრთა სიას საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის წარდგინებით, საკრებულოს უმრავლესობის წევრთა სიის რეგისტრაციის ან საკრებულოს უმრავლესობის წევრთა სიაში ცვლილების შეტანის შემდეგ უახლოეს სხდომაზე რეგისტრაციაში ატარებს საკრებულოს ბიურო."

10. დადგენილების დანართს დაემატოს თავი II² შემდეგი რედაქციით:

„თავიII²

საკრებულოს თანამდებობის პირები

მუხლი 16². საკრებულოს თანამდებობის პირები

საკრებულოს თანამდებობის პირები არიან:

ა) საკრებულოს თავმჯდომარე;

ბ) საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე;

გ) საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;

დ) საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე;

ე) საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე;

ვ) საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე."

11. შეიცვალოს დადგენილების დანართის III თავის სათაური და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თავი III

საკრებულოს თავმჯდომარე და მისი მოადგილეები" .

12. შეიცვალოს დადგენილების დანართის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტის „რ" ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„რ) ამტკიცებს საკრებულოს აპარატის შინაგანაწესს, აპარატის თანამშრომელთა თანამდებობრივ ინსტრუქციებს, საკრებულოს აპარატის დამატებით საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, საკრებულოს აპარატში კონკურსის (ღია კონკურსი, დახურული კონკურსი, ან შიდა კონკურსი) ჩატარების უზრუნველსაყოფად ქმნის შესაბამის საკონკურსო კომისიას და „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, ნიშნავს ამ კომისიის თავმჯდომარეს;".